ახალი რედაქცია დამტკიცებულია

რექტორის ბრძანება №01- 20 03.05.2023

რექტორი_____ ვ. ხვედელიძე

შრომის უსაფრთხოების სამსახურის
დებულება

ნდ №2-010301-24

ბათუმი

2023

შინაარსი

პრეამბულა: გავრცელების სფერო, ნორმატიული საფუძვლები, ძირითადი განმარტებები და შემოკლებები 3
მუხლი 1. ზოგადი დებულებები 5
მუხლი 2. შრომის უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციები 5
მუხლი 3. კონტროლი შრომის უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობაზე 6
მუხლი 4. შრომის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი 6
მუხლი 5. შრომის უსაფრთხოების სამსახურის პერსონალი 7
მუხლი 6. უფლებები და პასუხისმგებლობები 8
მუხლი 7. დებულების დანართები 8
მუხლი 8. დებულების საჯაროობა/კონფიდენციალურობა 8
მუხლი 9. დასკვნითი დებულებები 8
ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი 8

პრეამბულა

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული დებულების დამტკიცების აქტით;
2. დებულებას და მასში შესატან ცვლილებებს შეიმუშავებს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის უზრუნველ-ყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, შრომის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი, ბნსუ-ს იურისტი და სხვა პირები (საჭი-როებისამებრ). სამუშაო ჯგუფის მუშაობას კოორდინირებას და საბოლოო პროექტის მომზადებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
3. დებულებაში ცვლილებები მუშავდება დებულების გამოყენების შედეგების, საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტე-ბის ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს დებულება;
4. დებულებაში ცვლილებების შეტანას აკონტროლებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
5. დებულება ინახება:
   - ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან (ორიგინალი);
   - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ელ. ვერსია);
   - შრომის უსაფრთხოების სამსახურში (ელ. ვერსია);

გავრცელების სფერო

1. წინამდებარე დებულება ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მარეგულირებელი (შიდა ნორმატიული) დოკუმენტია;
2. დებულება ვრცელდება ყველა საკითხზე, რომელიც წარმოადგენს ამ დებულების რეგულირების სფეროს, და ყველა დოკუმენტზე, რომლის მიღების საფუძველს წარმოადგენს წინამდებარე დებულებაში არსებული წესები.

ნორმატიული საფუძვლები

1. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები;
2. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ლექსიკონი;
3. საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ;
4. ნდ №2-010101 – ბნსუ-ს წესდება;
5. ნდ №2-010102 – ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება (შინაგანაწესი);
6. ნდ №2-020101-01 – დოკუმენტების მართვის პროცედურა.

ძირითადი განმარტებები და შემოკლებები

შიდა ნორმატიული დოკუმენტი - ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც ადგენს საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;

თანამდებობრივი ინსტრუქცია - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს/აზუსტებს ბნსუ-ში დასაქმებული პირის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მის მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;

სტრუქტურული ერთეულის დებულება - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სფეროს, ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის/პერსონალის ფუნქციურ დაქვემდებარებას, ძირითად უფლებებსა და ვალდებულებებს;

საგანმანათლებლო პროგრამა - საბაკალავრო, სამაგისტრო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

მაგისტრანტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

პროფესიული სტუდენტი-პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

შრომის უსაფრთხოება – დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ფუნქციური შესაძლებლობების სამუშაოს უარყოფითი ასპექტებისაგან დაცვის სისტემა, რომელიც ჯანსაღი და უსაფრთხო საქმიანობის პირობებს ქმნის და მოიცავს სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, ორგანიზაციულ-ტექნიკურ, სანიტარიულ-ჰიგიენურ, სამკურნალო-პროფილაქტიკურ, სარეაბილიტაციო და სხვა ღონისძიებებს;

პრევენცია – იმ ღონისძიებებისა და პროცედურების სისტემა, რომლებსაც ახორციელებს დამსაქმებელი ან რომელთა განხორციელებაც დაგეგმილი აქვს დამსაქმებელს საქმიანობის ყველა მიმართულებით პროფესიული რისკების, სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების, პროფესიული დაავადებების ან შრომითი საქმიანობის გამო ჯანმრთელობისათვის სხვაგვარი ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად ან ზიანის შესამცირებლად;

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი – დამსაქმებლის მიერ დანიშნული/მოწვეული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას;

საფრთხე – საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის (მანქანა-დანადგარების, მასალების, ნივთიერებების, სამუშაო მეთოდების, გარემო პირობების ან შრომის ორგანიზების) თავისებურებები, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობას, გამოიწვიოს მისი დაავადება ან მის ჯანმრთელობას სხვა პრობლემები შეუქმნას;

რისკი – საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის ფაქტორების გავლენით დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების ან მისთვის სხვაგვარი ზიანის მიყენების ალბათობის ხარისხი, შესაბამისი შედეგის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით;

არაარსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია ჩვეულებრივი სამუშაო პროცესის შეჩერების გარეშე და რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას პირდაპირ საფრთხეს არ უქმნის;

არსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია, და რომელიც მოცემულ მომენტში საშიშროებას არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, თუმცა მისი გამოუსწორებლობა ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის;

კრიტიკული შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომელიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და რომლის დაუყოვნებლივ გამოსწორება სავალდებულოა;

ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი";

უსდ/სდ	-	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება;
ISO	-	სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
ხს	-	ხარისხის სისტემა;
ECTS	-	კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;
ESG	-	European Standards and Guidelines;
ENQA	-	European Network for Quality Assurance;
სტს	-	საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ბნსუ-ს შრომის უსაფრთხოების სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც იქმნება ბნსუ-ში პერსონალისა და გარემოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;
2. შრომის უსაფრთხოების სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონით შრომის უსაფრთხოების შესახებ, საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ბნსუ-ს შინაგანაწესით, წინამდებარე დებულებით და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის განკარგულებებით;
3. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება ბნსუ-ს შინაგანაწესით და შიდასაუნივერსიტეტო სხვა აქტებით. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ბნსუ-ს მარეგულირებელ დებულებებში/წესებში გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;
4. ბნსუ-ს პერსონალი და ამ დებულების რეალიზებაში ჩართული პირები ვალდებულნი არიან გაეცნონ და შეასრულონ წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები. ამ მოთხოვნების არცოდნა არ ათავისუფლებს მათ დებულებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 2. შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიზნები, ამოცანები, ფუნქციები

1. სამსახურის ძირითადი მიზანია ბნსუ-ში ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდეგში-კანონი) მოთხოვნების დაცვა.
2. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზანია იმ ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას.
3. სამსახურის ამოცანაა უზრუნველყოს დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ფუნქციური შესაძლებლობების სამუშაოს უარყოფითი ასპექტებისაგან დაცვის ისეთი სისტემის (შემდეგში ,,შრომის უსაფრთხოების სისტემა“) შექმნა და აღსრულება, რომელიც ჯანსაღი და უსაფრთხო საქმიანობის პირობებს ქმნის და მოიცავს სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, ორგანიზაციულ-ტექნიკურ, სანიტარიულ-ჰიგიენურ, სამკურნალო-პროფილაქტიკურ, სარეაბილიტაციო და სხვა ღონისძიებებს.
4. სამსახურის ფუნქციები:

4.1. ბნსუ-ში დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში სამსახურის ფუნქციებია:

ა) დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და წესები;

ბ) იზრუნოს, რომ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს;

გ) უზრუნველყოს, რომ ფიზიკურმა, ქიმიურმა და ბიოლოგიურმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას საშიშროება არ შეუქმნას;

დ) აღრიცხოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები, პროფესიული დაავადებების შემთხვევები და საშიში შემთხვევები და მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს დასაქმებულს ან/და დასაქმებულთა წარმომადგენელს;

ე) უზრუნველყოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების რეგისტრაცია, მოკვლევა და ანგარიშგება კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად;

ვ) რეგულარულად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს:

ვ.ა) ბნსუ-ში შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის შემოწმება და მისი დოკუმენტირება;

ვ.ბ) დადგენილი წესის შესაბამისად ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და სხვა დამცავი საშუალებების მოვლა-გასუფთავება, მათი სწორად გამოყენების კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვლა;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს, რომ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შემოწმდეს, გაიზომოს და შეფასდეს საწარმოო გარემოს შემდეგი ფაქტორები:

ზ.ა) ფიზიკური ფაქტორები (მათ შორის, ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, სითბური გამოსხივება, არამაიონზირებელი გამოსხივება, მაიონიზირებელი გამოსხივება, საწარმოო ხმაური, ულტრაბგერა, ინფრაბგერა, ვიბრაცია, უპირატესად ფიბროგენული მოქმედების აეროზოლები (მტვერი), განათება, აეროიონები, ელექტრომაბვა);

ზ.ბ) ქიმიური ფაქტორები (მათ შორის, ქიმიური სინთეზით მიღებული, ბიოლოგიური ბუნების მქონე ზოგიერთი ნივთიერება (ანტიბიოტიკები, ვიტამინები, ჰორმონები, ფერმენტები, ცილოვანი პრეპარატები) ან/და ნივთიერებები, რომელთა კონტროლისათვის ქიმიური ანალიზის და დეტექციის მეთოდები გამოიყენება);

ზ.გ) ბიოლოგიური ფაქტორები (მათ შორის, ვირუსები, ცოცხალი უჯრედები და სპორები, პათოგენური მიკროორგანიზმები, პრეპარატებში შემავალი მიკროორგანიზმები – პროდუცენტები).

4.2. ბნსუ-ში დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, სამსახური ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება და მათ გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია:

ა) შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ;

ბ) სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ;

გ) საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ;

დ) არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

4.3. ამ მუხლის 4.2. პუნქტით გათვალისწინებული სწავლების (ტრენინგების) ჩატარება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს:

ა) დასაქმებულების დაქირავებისას, მათ მიერ სამუშაოს შესრულების დაწყებამდე;

ბ) დასაქმებულთა სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანისას/სამუშაოს შეცვლისას;

გ) ახალი ტექნოლოგიური პროცესისა და სამუშაო მეთოდების დანერგვამდე, ახალი მანქანა-დანადგარების გამოყენების ან/და საწარმოო პროცესის ცვლილების დაწყებამდე;
დ) განმეორებით, თავის მიერ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად ან საჭიროების მიხედვით.
4.4.. ხელი შეუწყოს (უზრუნველყოს) ბნსუ-ს, როგორც დამსაქმებლის, მიერ ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას (აღსრულებას).
5. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ფუნქციების (ვალდებულებების) შესრულების მიზნით სამსახურის პერსონალი:
5.1. ორგანიზებას უწევს დაწესებულების მართვის სისტემის ჩამოყალიბებას შრომის, ჯანმრთელობის და გარემოს დაცვის მიმართულებით, კერძოდ:
ა) ამზადებს შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის გეგმას;
ბ) შეიმუშავებს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პროცედურებს ინსტრუქციებს;
გ) შეიმუშავებს გარემოს დაცვის პროცედურებს/ ინსტრუქციებს;
დ) შეიმუშავებს საფრთხეების პრევენციისა და რისკების შემცირების ღონისძიებებს;
ე) პერიოდულად აახლებს ორგანიზაციის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მარეგულირებელ დოკუმენტებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
ვ) აცნობს დასაქმებულებს ორგანიზაციის განახლებულ შიდა რეგულაციებს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.
5.2. ახორციელებს საფრთხის შემცველი ფაქტორების გამოვლენას, კერძოდ:
ა) შეისწავლის საფრთხესა და საფრთხის შემცველ ფაქტორებს;
ბ) შეისწავლის რისკის შემცველ ფაქტორებს და აფასებს რისკებს სხვადასხვა მეთოდებით;
გ) ახდენს პროფესიული და პროფესიით განპირობებული დაავადებების აღრიცხვასა და კონტროლს;
დ) აფასებს უბედური შემთხვევების სიმძიმეს;
ე) ახდენს ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესების დაცვას.
5.3. აღრიცხავს სამუშაო სივრცეში უბედურ შემთხვევებს, კერძოდ:
ა) ატარებს აუცილებელ ზომებს უბედური შემთხვევების დროს, მონაწილეობას იღებს საგამოძიებო პროცესში, ახდენს უბედური შემთხვევის რეგისტრაციას და ანგარიშის წარდგენას;
ბ) აცნობს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მეთოდოლოგიას;
გ) არეგულირებს პროფესიული დაავადებებით გამოწვეული ზიანის შედეგებს.
5.4. გამოავლენს გარემოს დაცვის საფრთხის შემცველ ფაქტორებს, კერძოდ:
ა) ეცნობა გარემოსდაცვით მარეგულირებელ კანონმდებლობას და შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს;
ბ) შეისწავლის გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცველ ფაქტორებს;
გ) ახდენს საფრთხისა და რისკის შემცველი ფაქტორების იდენტიფიცირებას;
დ) ახორციელებს დასაქმებულთა თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას პრევენციის მიზნით;
ე) ახდენს სამართლებრივი და საორგანიზაციო (ორგანიზაციული) მოთხოვნების შესაბამისად გარემოსდაცვით სფეროში ინციდენტების რეგისტრაციასა და აღრიცხვას.
5.5. აკონტროლებს გარემოს დაცვის მიზნით არსებულ ვითარებას, კერძოდ:
ა) აკონტროლებს ატმოსფერულ ჰაერს გარემოს დაცვის მიზნით;
ბ) აკონტროლებს წყლის წყაროების დაბინძურებას;
გ) ახდენს ნარჩენების მართვას;
დ) აკონტროლებს გარემოსდაცვით საგანგებო სიტუაციებს;
ე) პერიოდულად აახლებს გარემოს დაცვის სამართლებრივ დოკუმენტაციას.
5.6. ზრუნავს პროფესიულ განვითარებაზე, კერძოდ:
ა) ეცნობა დარგში არსებულ პერიოდულ გამოცემებსა და ლიტერატურას;
ბ) მონაწილეობს პროფესიული განვითარების ღონისძიებებში;
გ) ზრუნავს უცხო ენის ცოდნის ამაღლებაზე;
დ) ეცნობა უახლეს ტექნოლოგიებსა და სხვა სიახლეებს;
ე) უზიარებს თანამშრომლებს საკუთარ გამოცდილებას.

მუხლი 3. კონტროლი შრომის უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობაზე

1. შრომის უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, რაცგულისხმობს სამსახურის საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის ზედამხედველობას. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი კონტროლის განსახორციელებლად უფლებამოსილია სამსახურისაგან მოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენ-ტაცია.

მუხლი 4. შრომის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის ხელმძღვანელი, რომელსაც კონკურსის ან პირდაპირი დაკონტრაქტების წესით თანამდებო-ბაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი რექტორთან შეთანხმებით. სამსახურის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და ანალოგიური ფუნქციების მქონე სამსახურში მუშაობის/ანალოგიური მოვალეობის შესრულების არანაკლებ 01 წლის გამოცდილება და გააჩნდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიკატი, ბნსუ უფლებამოსილია დააზუსტოს მითითებული მოთხოვნა და/ან დაადგინოს სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
2. შრომის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი:
1. ხელმძღვანელობს სამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობით, ბნსუ-ს აქტებითა და ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებას;

2. პასუხისმგებელია სამსახურის საქმიანობის სწორად წარმართვაზე, ვალდებულია რაციონალურად გაანაწილოს შესასრულებელი სამუშაო, წინამდებარე დებულებით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაოთა აღწერილობისა და ბნსუ-ის სამართლებრივი აქტების შესაბამისად და გააკონტროლოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი;
3. კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს წინადადებებს და წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს და რექტორს;
4. მოქმედებს სამსახურის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობებში, განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;
5. კომპეტენციის ფარგლებში ვიზით ადასტურებს ან ითანხმებს სამსახურის ან ბნსუ-ს სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტებისა და კორესპონდენციის პროექტებს;
6. პერიოდულად ისმენს სამსახურის პერსონალის ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;
7. წარადგენს საქმიანობის ანგარიშს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის დავალებით;
8. კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს წინამდებარე დებულებით, ბნსუ-ის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს;
9. ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის თანამშრომელთა შერჩევის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების პირობების, წინამდებარე დებულებაში შესატანი ცვლილებების, სამსახურის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზების, სამსახურის თანამშრომლების წახალისების და სხვ. შესახებ;
10. ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან შუამდგომლობს იმ მოწყობილობების, ინვენტარის, ტექნიკის და სხვ. შეძენაზე/სამსახურისთვის გადაცემაზე, რაც აუცილებელია სამსახურის ფუნქციის შესასრულებლად;
11. ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან შუამდგომლობს სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;
12. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს დასკვნებს;
13. ახორციელებს ბნსუ-ს შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებით, თანამდებობრივი ინსტრუქციით, წინამდებარე დებულებით და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებებით განსაზღვრულ ფუნქციებსა და დავალებებს;
14. ექვემდებარება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს (ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის მოადგილეს (არსებობის შემთხვევაში), რომლისთვისაც ეს უფლებამოსილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის მიერ არის დელეგირებული) და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

3. სამსახურის ხელმძღვანელს უფლება აქვს თავისი კომპეტენციის ფარგლებში:
   1. შეაფასოს არსებული მდგომარეობა, შეიმუშაოს შესაბამისი ღონისძიებები და წინადადებები;
   2. მონაწილეობა მიიღოს იმ საკითხების განხილვაში, რომლებიც ეხება სამსახურის საქმიანობას;
   3. მოითხოვოს სტრუქტურული ერთეულებიდან სამსახურის მუშაობისათვის საჭირო ინფორმაცია;
   4. გასცეს განკარგულება, მისცეს მითითება და რეკომენდაცია ყველა მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომელს.

4. სამსახურის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია:
   1. სამსახურის მუშაობაზე, შრომითი დისციპლინის დაცვაზე, მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულებაზე;
   2. გასაწევ მომსახურებასა და ხარისხის სისტემასთან დაკავშირებით ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრაზე.

მუხლი 5. შრომის უსაფრთხოების სამსახურის პერსონალი

1. სამსახურის პერსონალს (სამსახურის თანამშრომლებს) კონკურსის ან პირდაპირი დაკონტრაქტების წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი. ბნსუ უფლებამოსილია დააზუსტოს მითითებული მოთხოვნა და/ან დაადგინოს სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
2. სამსახურის თანამშრომელი ვალდებულია შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა აიღოს შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. სამსახურის თანამშრომლის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, შრომითი ხელშეკრულებით, ბნსუ-ს შინაგანაწესით, თანამდებობრივი ინსტრუქციით (არსებობის შემთხვევაში), ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის და სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი დავალებებით;
3. სამსახურის თანამშრომლები ანგარიშვალდებულნი არიან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის და ხელმძღვანელის წინაშე;
4. სამსახურში დასაქმებულს უნდა ჰქონდეს შემდეგი პიროვნული თვისებები: გულისხმიერება; მზრუნველობა; ფიზიკური ამტანობა; პასუხისმგებლობა; კოლეგიალურობა; გუნდურობა და კონფიდენციალურობა;
5. სამსახურში დასაქმებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მოსამზადებელი პროგრამის სერტიფიცირებული კურსდამთავრებული და ფლობდეს შემდეგ პროფესიულ ცოდნას:

ა) საქართველოს ორგანული კანონი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს კანონი ,,გარემოს დაცვის შესახებ“; საქართველოს კანონი ,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“; მოქმედი კანონმდებლობა, ტექნიკური რეგლამენტები, ნორმატიული აქტები და საერთაშორისო სტანდარტები (ILO-OSH-2001; OSHAS 18001:2007); საკანონმდებლო სიახლეები შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მიმართულებით;

ბ) შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ეფექტური პოლიტიკის პრინციპები;

გ) გარემოსდაცვით სფეროში ადამიანის ძირითადი უფლებები;

დ) სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები; საფრთხეების გამოვლენისა და რისკების შეფასების მეთოდოლოგია; სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის მავნე ნივთიერებების (ალკოჰოლი, ნარკოტიკული და ტოქსიკური, მედიკამენტები და სხვ.) არასწორი გამოყენების ან/და ბოროტად გამოყენების კონტროლის გზები;

ე) ელექტროენერგიასთან დაკავშირებული საფრთხეებისა და რისკების აღმოსაფხვრელად საბაზისო კონტროლის ღონისძიებები;

ვ) ხანძრის წარმოშობის მიზეზები, გავრცელების მეთოდები, კლასიფიკაცია და რისკის შეფასების ზოგადი პრინციპები;

ზ) ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების ზოგადი საფრთხეები და რისკების კონტროლის მექანიზმები;

თ) სატრანსპორტო საშუალებების საფრთხეები და რისკების კონტროლის მექანიზმები; ამწე/მოწყობილობების და სპეცტექნიკის საშუალებების საფრთხეები და რისკების კონტროლის მექანიზმები;

ი) პრევენციული მექანიზმების ძირითადი ასპექტები და ძირითადი რისკის კონტროლის მექანიზმები დაწესებულების უძრავი და მოძრავი დანადგარების/ხელსაწყოების მიმართ;

კ) ორგანიზაციის/სამუშაო ადგილის მოწყობის ზოგადი მოთხოვნების (მიკროკლიმატი, განათება, ერგონომიკა, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ფართები) მნიშვნელობა; ხმაურის და ვიბრაციის ზეგავლენა ჯანმრთელობაზე და რისკების კონტროლის მექანიზმები; მაიონიზირებელი და არამაიონიზირებელი ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზეგავლენის ძირითადი შედეგები და რისკების კონტროლის გზები; პროფესიული სტრესის ზეგავლენის მიზეზების, მისი ზემოქმედებისა და რისკების კონტროლის მნიშვნელობა; მოწყვლადი ჯგუფების (მარტოხელა დასაქმებული, არასრულწლოვანი, შშმპ, ორსული) რისკების კონტროლის აუცილებლობის მნიშვნელობა;

ლ) დროებითი სამუშაოების (სამშენებლო ობიექტები, დემონტაჟი, ექსკავაცია) პროცესში გამოწვეული საფრთხეების, საფრთხის შემცველი ფაქტორებისა და რისკების კონტროლის მექანიზმები;

მ) ფიზიკური შრომის ზოგადი საფრთხეებისა და რისკების მნიშვნელობა; სიმაღლეზე მუშაობის საფრთხეების და რისკების კონტროლის მექანიზმები; დახურულ სივრცეში მუშაობის საფრთხეების, რისკებისა და რისკების კონტროლის მნიშვნელობა; სამუშაო სივრცეში ქვეითთა გადაადგილების საფრთხეები და რისკების კონტროლის მექანიზმები; მაღალი წნევის ქვეშ მომუშავე პერსონალის საფრთხეები და რისკების კონტროლის მექანიზმები.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული საშტატო ერთეულების დასახელების ან მათი რაოდენობის ცვლილება არ გამოიწვევს ამ დებულებაში ცვლილების შეტანას.

მუხლი 6. უფლებები და პასუხისმგებლობები

1. დასაქმებულ პირს აქვს უფლება: გაეცნოს ბნსუ-ს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების პროექტებს, რომლებიც ეხება მის საქმიანობას; წარუდგინოს ხელმძღვანელობას წინადადებები მის ვალდებულებებთან დაკავშირებული სამუშაოების სრულყოფისათვის; მიიღოს სტრუქტურული ერთეულებიდან მისი ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები; მოითხოვოს ხელმძღვანელობისაგან დახმარების გაწევა თავისი თანამდებობრივი ვალდებულებებისა და უფლებების შესრულებისათვის;

2. დასაქმებული პირი ვალდებულია გაეცნოს ბნსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ (საჯარო ინფორმირება) და ბნსუ-ს ოფიციალური ელ. ფოსტით გამოგზავნილ (პირადი ინფორმირება) ინფორმაციას და შეასრულოს შესაბამისი მოთხოვნები, რომელთა არცოდნა არ ათავისუფლებს ამ მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისგებლობისაგან. მის პირად პასუხისმგებლობას მიეკუთვნება: შინაგანაწესით და სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, შრომითი ხელშეკრულებით და წინამდებარე ინსტრუქციით დაკისრებული მოვალეობების დროული და ხარისხიანი შესრულება; შრომითი დისციპლინის, შრომის შინაგანაწესის, ქცევის წესების, ეთიკის კოდექსის დაცვა; ხარისხის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მიხედვით ხარისხის სისტემის მოთხოვნების დაცვა; არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

მუხლი 7. დებულების დანართები

1. წინამდებარე დებულების განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მისი დანართები (არსებობის შემთხვევაში), ასევე დოკუმენტები/ფორმები, რომლებიც შემუშავდა წინამდებარე დებულების საფუძველზე.

მუხლი 8. დებულების საჯაროობა/კონფიდენციალურობა

1. წინამდებარე დებულება საჯაროა;

2. ბნსუ-ს პერსონალი და დებულებით გათვალისწინებული პროცესების/პროცედურების განხორციელებაში ჩართული და სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობენ ამ პროცესების უზრუნველყოფაში, ვალდებულნი არიან გაეცნონ წინამდებარე დებულებას და შეასრულონ მისი მოთხოვნები, ბნსუ ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ დებულების გაცნობის შესაძლებლობა.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულების ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე დებულების ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/ წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ საკითხებს;

2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, შრომის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი, ბნსუ-ს იურისტი;

3. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით;

4. დებულების მუხლებს წანამძღვრებული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;

5. დებულების რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ბათილად ცნობა არ ვრცელდება დებულების სხვა მუხლებზე/ დებულებებზე;

6. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;

7. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების №	ცვლილებების თარიღი	ცვლილებების შინაარსი